



## ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის საქმიანობის ანგარიში 2015 წელი

### შესავალი

2015 წელს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლისადმი მოქალაქეთა მიმართვიანობის მაჩვენებელმა წინა წელთან შედარებით გაიზარდა, დაინერგა არა ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, გაღმავრდა და გაფართოვდა ურთიერთობები სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან ასევე მუნიციპალიტეტში დაიგეგმა და განხორციელდა არა ერთი ღონისძიები. შეხვედრები მოეწყო ადგილობრივი მოსახლეობასთან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით გაიზარდა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში.

**პირველი ხალხის მიერ არჩეული გამგებელი პასუხისმგებლობა ამომრჩეველთან:**

- ✓ საწარმოების გახსნა ქელვაში - შესრულებულია
- ✓ წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება - შესრულებულია
- ✓ სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა - შესრულებულია
- ✓ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება - აქტიურ ფაზაშია
- ✓ დარჩა მხოლოდ ერთი - გ ა ზ ი ფ ი ც ი რ ე ბ ა

მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა!

### გამგებლისა და გამგეობის ძირითადი პრინციპები

- საქმიანობის გამჭვირვალობა
- მოქალაქეთა კეთილდღეობა
- ორგანიზაციის საქმეზე ორიენტირებულობა
- საჯაროობა
- ღიაობა
- კეთილსინდისიერება

➤ კრიზისულ სიტუაციაში ოპერატიულობა

**ვთანამშრომლობა**

- ✓ ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან: marcy corps, oxfam, empard ა.შ. (ქედში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა თანამონაწილეობით)
  - ✓ მაღალია საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობები მედიაში, პრესაში, რადიოში, სოციალურ მედიაში და ა.შ.
- ორგანიზაციას აქვს კეთილსინდისიერი პიარი, რომელიც რეალურად განხორციელებულ თემებზე დაფუძნებული და ქვეყნდება პროაქტიულად
- ✓ აქტიურად ფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან
  - ✓ ვიწყებთ საერთაშორისო თანამშრომლობის - დამეგობრების (ბელორუსიის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტთან) საკითხის განხილვას, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებასა და ადგილობრივების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**ჩართულობა**

- \* აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ინიციატივებსა და კამპანიებში
- \* საქველმოქმედო აქციებში
- \* მიუხედავად კვირაში ორჯერ - სამშაბათსა და პარასკევს იმართება მოქალაქეთა მიღება, სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრები იმართება წლის განმავლობაში კარ-დაკარის პრინციპით
- \* კრიზისულ სიტუაციებში გამგეობაში მოქმედი სპეციალური ჯგუფები პრობლემის დროულ იდენტიფიცირებასა და რეაგირებას ახდენს
- \* გამგეობაში მოქმედებს ცხელი ხაზი
- \* ყველა სტრუქტურული ერთეული და ხელმძღვანელი პირები ორიენტირებულები არიან მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე

**ქედის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა**  
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 დეკემბრის №44 დადგენილებით, მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური მოცულობა, როგორც საშემოსავლო ასევე საგასავლო ნაწილში განისაზღვრა 8 422 768 ლარის ოდენობით.

**ქედის მუნიციპალიტეტის 2015 წლის მდგომარეობით მიღებულია შემოსულობები 7 444 037 (93%) მათ შორის:**

- \* ქედის მუნიციპალიტეტის 2015 წლის მდგომარეობით მიღებულია გათანაბრებითი ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 661 000 ლარი; (100%)
- \* აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 2 498 141 ლარი, (90.5%)

**მათ შორის:** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 2 445 617 ლარი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი 52 524 ლარი,

- \* საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებულია 200 000 ლარი;(100%)
- \* საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 131 526 ლარი;(100%)
- \* სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 552 202 ლარი; (100%)
- \* ხოლო ადგილობრივმა შემოსულობებმა შეადგინა 401 169 ლარი, მათ შორის:
- \* ქონების გადასახდი 93 318 ლარი; (37.3%)
- \* პროცენტები 21 656 ლარი;(18%)

- \* მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 100 830 ლარი;(66.3%)
- \* სანებართვო მოსაკრებელი 1 030 ლარი, (103%)
- \* ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 25 473 ლარი; (101.8%)
- \* შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 8 326 ლარი; (55.5%)
- \* ჯარიმები, სანქციები და საურავები 49 414 ლარი; (98.8%)
- \* შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 98 741 ლარი; (197.5%)
- \* არაფინანსური აქტივების კლება 2 386 ლარი მათ შორის: არაწარმოებული აქტივები 2 386 ლარი.

### **გადასახდელები**

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2015 წლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8 675 292 ლარის ოდენობით.

საკასო შესრულება: 7 967 645 ლარი (91,8%).

### **თავდაცვის სფერო**

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 53 000 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 51 552 ლარი მათ შორის:
- \* შრომის ანაზღაურება 39 750 ლარი,
- \* საქონელი და მომსახურება 11 802 ლარი.

2015 წლის დასაწყისში შედგენილი და მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დამტკიცებულია სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა თვეების მიხედვით.

საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე 2015 წლის თებერვლიდან დაიწყო წვევამდელთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევა.

2015 წლის წლიური გეგმა - დავალება შესრულდა გადაჭარბებით

- 28 წვევამდელის გეგმა
- 40 წვევამდელი სამხედრო სამსახურში გაწვეულ იქნა
- ასევე გაიზავნა 2008 წლიდან 2015 წლამდე მუნიციპალიტეტიდან გაწვეულ წვევამდელთა რაოდენობრივი მონაცემები სახელმწიფო უწყებების მიხედვით ( თავდაცვის სამინისტრო, შსს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტი), სულ ამ წლების განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტიდან გაწვეულ იქნა 472 წვევამდელი.
- 2015 წელს გაცემულია 99 სამხედრო დროებითი მოწმობა და 72 სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა.

### **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

#### **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების**

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 324 441 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 278 718 ლარი, მათ შორის:
- \* გრანტები 251 258 ლარი,
- \* სოციალური უზრუნველყოფა 27 460 ლარი.

### **ეკონომიკური საქმიანობა**

#### **ეკონომიკური საქმიანობა სფეროს**

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 877 293 ლარს,

- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 766 590 ლარი მათ შორის:
- \* სხვა ხარჯები 11 700 ლარი,
- \* არაფინანსური აქტივები 754 890 ლარი.

**სოფლის მეურნეობის სფეროს**

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 990 ლარი,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 2 990 ლარი, მათ შორის:
- \* სხვა ხარჯები 2 990 ლარი.

**საავტომობილო ტრანსპორტის სფეროს**

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 874 303 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 763 600 ლარი მათ შორის:
- \* სხვა ხარჯები 8 710 ლარი,
- \* არაფინანსური აქტივები 754 890 ლარი.

**2015 წელს სულ ინფრასტრუქტურული ღონისძიებებზე დაიხარჯა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2623507 ლარი (51 ღონისძიება)**

**აღნიშული დაფინანსებით შესრულდა უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტები საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე დაიხარჯა 763 600 ლარი, მათ შორის:**

- \* დაბა ქედაში მდინარე აკავრეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები - 622 000 ლარი
- \* მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია - 70 677 ლარი;
- \* სოფელ ახოს, ძირვენახის უბნის საავტომობილო გზის მშენებლობა - 128 000 ლარი;

**ნაპირსამაგრი სამუშაოების ისტორიულ პროექტს ჩაეყარა საფუძველი, რომლის ბიუჯეტი 2 000 000 ლარია**



**კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე დაიხარჯა 1 320 618 ლარი, მათ შორის:**

- \* ნაგავშემკრები კონტეინერების შექმნა -67 141 ლარი;
- \* აჭქესის, ახოსა და ქედის წყალმომარაგების ქსელში აბონენტთა გამრიცხველიანება - 85 386 ლარი;
- \* სოფელ ორცვა-არსენაულის სასმელი და სარწყავი წყლის სისტემის მშენებლობა 45 888 ლარი;
- \* დაბა ქედის სასმელი წყლის სამარაგო ავზის ტერიტორიის შემოღობვა და კეთილმოწყობა - 17 849 ლარი;
- \* სოფელ წონიარისში ბარის უბნისათვის სასმელი წყლის სისტემის გამართვა 27 000 ლარი;

- \* სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მიღების შეძენა 32 600 ლარი;

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მნიშვნელოვან ღონისძიებებზე დაიხარჯა 387 497 ლარი, მათ შორის:

- \* დაბა ქედაში რუსთაველის ქუჩის დასასვენებელი პარკის რეაბილიტაცია - 99 813 ლარი;
- \* აწვევისა და ზვარის თემის ცენტრის კეთილმოწყობა - 287 684 ლარი;
- \* განხორციელდა საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები:
- \* დაბა ქედაში არსებული საკანალიზაციო და წყალანირების სისტემების მშენებლობა რეაბილიტაცია, აწვევის დასახლების მახუნცეთის, ზვარისა და ცხმორისის საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა - 145 927 ლარი;
- \* სოფელ ქედის მიმდებარე ტერიტორიებიდან მოსახლეობის საკანალიზაციო არხების დაბის საკანალიზაციო ქსელთან მიერთება - 22 024 ლარი;

**სასოფლო საუბნო გზების რეაბილიტაციისა და ფერდსამაგრი სამუშაოებისთვის გამოყოფილი იყო 103 000 ლარი, კერძოდ:**

- \* განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტში სოფელ გეგელიძეებში შიდა საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები
- \* ბელტურის დასახლებაში გაბიონის მოწყობა
- \* მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები

**მუნიციპალიტეტში მეწყერული მოვლენებისაგან დაზიანებული ტერიტორიების აღდგენისა და გამაგრებისათვის გამოყოფილი იყო 216 000 ლარი, რითაც ჩატარდა:**

- \* დანდალოს, ქედის, ცხმორისის, ოქტომბრის, მერისის, დოლოგნის თემებში გეოლოგიური შესწავლით დადგენილი გადაუდებელი, გამაგრებითი და მეწყერსაწინააღმდეგო არხების მოწყობის სამუშაოები

შენიშვნა საკასო შესრულება - 199 804 ლარი;

**ბაგა-ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა და ინვენტარის შეძენისათვის გამოყოფილი ხარჯები შეადგენს 470 599 ლარს, კერძოდ:**

- \* სოფელ ნამლისევში ბაგა-ბაღის მშენებლობა და ინვენტარით აღჭურვა - 260 485 ლარი;
- \* დოლოგნისა და ვაიოს ბაგა-ბაღების ეზოს კეთილმოწყობა - 99 512 ლარი;
- \* ცენტრი ცხმორისისა და წონიარისის ბაგა-ბაღების რემონტი - 10 781 ლარი;
- \* დაბა ქედის ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 58 030 ლარი;
- \* სოფელ ცხმორისისა და მერისის ბაგა-ბაღის რემონტი - 41 792 ლარი;

**შედეგად ბაგა-ბაღების ქსელი მთლიანად მუნიციპალიტეტში 1 ერთეულით გაიზარდა 14 ერთეულამდე, მათ შორის 7 ბაგა-ბაღს ჩაუტარდა სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები, ხოლო ოქტომბრის ბაგა-ბაღის საპროექტო სამუშაოებისათვის დაიხარჯა 4500 ლარი, რომლის მშენებლობაც დაგეგმილია 2016 წელს.**

**სპორტული მოედნების და დარბაზების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი იყო 106 800 ლარი, შედეგად**

- \* დასრულდა ქედის საჭიდაო დარბაზის რემონტი - 54 938 ლარი;
- \* განხორციელდა დოლოგნისა და კვაშტის სპორტული მინი მოედნების რეაბილიტაცია - 11 698 ლარი;
- \* ჩაუტარდა რემონტი არჩილ ფარტენაძის სახელობის ქედის ცემენტრალური სტადიონს - 39 703 ლარი;

მიმდინარეობს მახუნცეთში ტურისტული ინფრასტრუქტურის კონცეფციის შემუშავება

კულტურის სახლებისა, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა- რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვის ღონისძიებებზე დაიხარჯა 117 858 ლარი, მათ შორის:

- \* ზვარის თემის ადმინისტრაციული შენობის და კულტურის სახლის მშენებლობა ინვენტარით აღჭურვა - 78 100 ლარი;
- \* საღორეთის კლუბის ეზოს კეთილმოწყობა - 5 988 ლარი;
- \* ცხმორისის კულტურის სახლის რემონტი და ინვენტარის შექმნა - 33 770 ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს გამოყოფილი იყო 552 202 ლარი და ათვისებულ იქნა 546 200 ლარი. (98.9% )

- \* პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა 84 ღონისძიება, რომელიც განხორციელდა დაბა ქედაში და 64 სოფელში. კერძოდ:
- \* გზების კეთილმოწყობაზე და ბეტონის საფარის დაგებაზე 6 700 გრძივ მეტრზე დაიხარჯა 440 000 ლარი
- \* გარემონტდა წყლის სისტემები
- \* აშენდა 2 საერთო სარგებლობის წისქვილი
- \* 11 სოფელი აღიჭურვა სარიტუალო ინვენტარით
- \* აშენდა 7 მგზავრთა მოსაცდელი
- \* შექმნილ იქნა მიწები წყლის სისტემებისათვის და სხვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით 2015 წლებში ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ხარჯები იქნა გაწეული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის

- \* ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგო სოფელ უჩხითის გეგელიძეების, ოქტომბრის და ცხმორისი სასოფლო გზებზე - 7 კილომეტრზე
- \* აშენდა და გარემონტდა 3 საავტომობილო ხიდი
- \* ასევე გარემონტდა კაპიტალურად სოფელ კოკოტაურისა და ოქტომბრის საჯარო სკოლის შენობები

ყურადღება ექცევა შშმ პირთათვის ადაფტირებული გარემოს შექმნას



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვლილ ორ წელიწადში ქედაში განხორციელებული კერძო ინვესტიციები

- \* მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა ინვესტიციები, რომელთა ღირებულება 3 000 000 ლარზე მეტია, მათ შორის:
- \* აშენდა ახალი ღვინისა და საკონსერვო ქარხნები
- \* სიგარების მწარმოებელი საწარმო
- \* ავტო სერვის ცენტრი

- \* რეკონსტრუქცია ჩაუტარდა კოკოტაურის მინერალური წყლების საამქროს
- \* გაიხსნა ბალაძეების მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ხაზი და სხვა მცირე საწარმოები
- \* მიმდინარეობს ინვესტიციის მოზიდვა სამკერვალო ფაბრიკის გახსნისათვის და სასტუმროს აშენებისათვის აწჳესის დასახლებაში
- \* გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;
- \* დაცულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნები და განვილი 2015 წელს დადებულია 208 ხელშეკრულება, აქედან გამარტივებული შესყიდვის წესით 91 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით 5 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის მეშვეობით 112 ხელშეკრულება.
- \* სახელმწიფო აუდიტის მიერ წლის მეორე ნახევარში დეტალურად იქნა შესწავლილი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურა. სამსახურის მუშაობაზე გამოითქვა ზოგიერთი შენიშვნები, მაგრამ შესყიდვების განხორციელების მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დარღვევა არ გამოვლენილა.
- \* გეგმაზომიერად მიმდინარეობს ადგილობრივი მოსაკრებლების გაწერის და შესაბამისი გადასახადების ბიუჯეტში ამოღება, აქედან წლის განმავლობაში ამოღებული იქნა 25 200 ლარი.

### **გარემოს დაცვა**

- \* **გარემოს დაცვის სფეროს**
- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 237 000 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 235 092 ლარი მათ შორის:
- \* არაფინანსური აქტივები 235 092 ლარი.
- \* **ჩამდინარე წყლების მართვის სფეროს**
- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 169 000 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 167 951 ლარი მათ შორის:
- \* არაფინანსური აქტივები 167 951 ლარი.
- \* **სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროს**
- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 68 000 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 67 141 ლარი მათ შორის:
- \* არაფინანსური აქტივები 67 141 ლარი.

### **საბიანო კომუნალური მეურნეობა**

#### **საბიანო კომუნალური მეურნეობა განვითარების სფეროს**

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 171 668 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 1 873 009 ლარი მათ შორის:
- \* საქონელი და მომსახურება 39 799 ლარი,
- \* სუბსიდიები 383 738 ლარი,
- \* სხვა ხარჯები 45 731 ლარი
- \* არაფინანსური აქტივები 1 403 740 ლარი.

#### **კეთილმოწყობის ღონისძიებების**

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 438 600 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 387 497 ლარი მათ შორის:
- \* არაფინანსური აქტივები 387 497 ლარი.

**წყალმომარაგება, მათ შორის სასმელი წყლით მომარაგების სფეროს დაზუსტებული გეგმა შეადგენს 397 700 ლარს,**

- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 368 341 ლარი მათ შორის:
- \* სუბსიდიები 152 740 ლარი
- \* არაფინანსური აქტივები 215 601 ლარი.

**სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობის სფეროს**

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 335 368 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 1 117 171 ლარი მათ შორის:
- \* საქონელი და მომსახურება 39 799 ლარი;
- \* სუბსიდიები 230 998 ლარი;
- \* სხვა ხარჯები 45 731 ლარი;
- \* არაფინანსური აქტივები 800 643 ლარი.

**ზედამხედველობის სფეროში**

- სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხუთ ფიზიკურ პირზე გაცემული იქნა მითითებები სამართალდარღვევის გამოსწორების შესახებ, რომელთაგან ერთი ფიზიკური პირი დაჯარიმებული იქნა, ხოლო 4 ფიზიკურ პირის მიერ დარღვევები გამოსწორებულ იქნა და მითითების პირობები შესრულდა.
  - მუნიციპალიტეტის გამგეობაში საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მისაღებად კანონით განსაზღვრულ ვადაში გაცემულია ნებართვები 5 (ხუთ) ობიექტზე.
    - ზედამხედველობის სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა დაბა ქედისა და თემის ცენტრების გარე იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობისა და სანიტარული დასუფთავების მდგომარეობა მისი მოწესრიგების მიზნით, ობიექტის მფლობელებს მიეცათ გაფრთხილება კეთილმოაწიონ ობიექტის გარე სარეკლამო აბრები და დაიცვან სანიტარული დასუფთავების წესები.
    - მოეწყო დასუფთავების აქცია პირველი მაისის, ოქტომბრისა და მერისის თემის ცენტრებში და სოფლებში.
  - საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ შედგენილ იქნა სამი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, რომელიც განხილულ იქნა ქედის მაგისტრატ სასამართლოში.

**შიდა აუდიტის სფეროში**

- შიდა აუდიტის სამსახურმა სამუშაო გეგმის შესაბამისად განახორციელა შიდა აუდიტორული შემოწმება სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფო სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს ქონებრივი ღირებულებების, არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლისა და ანალიზის შესახებ.
- გეგმის შესაბამისად შიდა აუდიტორული შემოწმება ჩატარდა მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, ასევე აუდიტორული შემოწმებები ჩატარდა მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობის თაობაზე. კერძოდ, გამგეობის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების რემონტზე გახარჯული თანხების, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების მართვისა და განკარგვის თაობაზე.
- ასევე მნიტორინგი განხორციელდა შესყიდული საწვავის ხარჯვის მიზნობრიობაზე, სამივლინებო თანხების ხარჯვის მიმდინარეობაზე. ადგილობრივი მოსაკრებლების განსაზღვრისა და გადასახადების ამოღების მიმდინარეობაზე.



- შიდა აუდიტის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინება ხდება მიმდინარე მუშაობის პროცესში, ასევე შიდა აუდიტის რეკომენდაციები იგზავნებოდა თითოეულ შემსრულებელამდე და რომლის შესრულების კონტროლს ახორციელებს შიდა აუდიტის სამსახური.

### ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა

#### ჯანმრთელობის დაცვის სფეროს

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 99 576 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 92 417 ლარი მათ შორის:
- \* სუბსიდიები 69 863 ლარი,
- \* სოციალური უზრუნველყოფა 8 554 ლარი
- \* არაფინანსური აქტივები 14 000 ლარი.

#### სოციალური დაცვის სფეროს

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 259 518 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 256 290 ლარი მათ შორის:
- \* ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ 2015 წლის განმავლობაში განხორციელდა 8 მიზნობრივი პროგრამა კერძოდ:
- \* „სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 19955 ლარს. პროგრამა განხორციელდა ტენდერში გამარჯვებული ინდ. მეწარმე დალი აბულაძემ და ისარგებლა 26 მოქალაქემ, რაზეც დაიხარჯა 18096.28 ლარი. სამსახურის მიერ პერიოდულად ხორციელდება მონიტორინგი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით.
- \* „ამბულატორიული მომსახურების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 89420 ლარს. ამბულატორიების ტრანსპორტითა და მომსახურებით უზრუნველსაყოფად ჩარიცხულია 64463 ლარი, სადაც გათვალისწინებული იყო მძღოლების ხელფასი 300 ლარი, საწვავი, ელექტროენერჯის გადასახადი, ექიმის ჩანთის შესავსებად 30 ლარი და დაზღვევის გადასახადი.
- \* „უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 17500 ლარს. პროგრამით ისარგებლა 66 ოჯახმა (სარეიტინგო ქულა 70000-ზე ნაკლები) და თითო ოჯახს გაეწია 250 ლარიანი დახმარება. დახარჯულია 16500 ლარი.
- \* „ყოველი ახალშობილის შეძენაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 90100 ლარს, პროგრამით ისარგებლა 235 ოჯახმა და დაიხარჯა 90000 ლარი. მათ შორის პირველი შვილის შეძენასთან დაკავშირებით 109 ახალშობილზე ჩაირიცხა 32700 ლარი, მეორე შვილის შეძენასთან დაკავშირებით 77 ახალშობილზე 30800 ლარი, მესამე შვილის შეძენასთან დაკავშირებით 42 ახალშობილზე 21000 ლარი, მეოთხე შვილის შეძენასთან დაკავშირებით 4 ახალშობილზე 2800 ლარი, მეხუთე და მეექვსე შვილის შეძენასთან დაკავშირებით 3 ახალშობილზე 2700 ლარი.
- \* „ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციართა (თანმხლები პირის ერთად) მგზავრობის ღირებულების ანაზღაურების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 13850 ლარს. პროგრამით სარგებლობდა 9 მოქალაქე.
- \* „ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადების (ეპილეფსია) მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა“- ტენდერში გაიმარჯვა შპს „ეიბისი ფარმაცია“-მ 13248 ლარით და მედიკამენტებს აწვდის ეპილეფსიით დაავადებულ ყველა

დაავადებულს ასაკის შეუზღუდავად. ჩარიცხულია 8554.75 ლარი. პროგრამით სარგებლობს 80 ბენეფიციარი.

- \* „ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა”, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 3350 ლარს. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დახარჯულია 1580 ლარი - 15 თებერვლის, 9 მაისის და აგვისტოს ომში დაღუპული მეომრის დღის აღსანიშნავად.
- \* „ხუთ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა”, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 12000 ლარს. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 12 ოჯახმა და თითოეულ ოჯახს გადაეცა 1000 ლარი ერთჯერადი დახმარება.
- \* გარდა პროგრამებისა გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მოწვეული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გეოლოგიური სამსახურის სპეციალისტები. ადგილზე მისვლით შესწავლილი იქნა მოსახლეობის მიერ მეწყერებთან დაკავშირებული განცხადებები. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა შესაბამისი გეოლოგიური დასკვნები. ეტაპობრივად მიმდინარეობს დაზარალებული ოჯახების შესწავლა, შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა და მასალების სამთავრობო კომისიაზე გაგზავნა განსახილველად. ყოფილ პოლიკლინიკის შენობაში სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით შესასახლებული იქნა სტიქიის შედეგად დაზარალებული 12 ოჯახი.
- \* ნოემბერში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარალებული ინფრასტრუქტურა საქართველოს მთავრობის მიერ იქნა დაფინანსებული, ხოლო სახლის სახურავებზე კომპენსაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.
- \* მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 39 თემის სამედიცინო პუნქტი და 9 ამბულატორია, რომლებიც პირველად დახმარებასა და მკურნალობას უწევენ მოსახლეობას. ისინი ყოველი თვის 20-25 რიცხვამდე სამსახურში წარმოადგენენ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, აღნიშნული ანგარიშები მუშავდება და წარედგინება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. სამსახური პერიოდულად ადგილზე მისვლით ანხორციელებს მონიტორინგს მათი მუშაობის შესახებ.
- \* ასევე ვთანამშრომლობთ აჭარის სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ქედის განყოფილებასთან სხვადასხვა ეპიდემიური დაავადებების პრევენციის მიზნით.

## **დასვენება, კულტურა და რელიგია**

### **დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროს**

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 278 945 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 1 178 134 ლარი მათ შორის:
- \* საქონელი და მომსახურება 81 115 ლარი,
- \* სუბსიდიები 870 823 ლარი,
- \* სხვა ხარჯები 2 000 ლარი
- \* არაფინანსური აქტივები 224 196 ლარი.

### **დასვენებისა და სპორტის სფეროს**

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 611 668 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 574 655 ლარი მათ შორის:
- \* საქონელი და მომსახურება 41 995 ლარი,
- \* სუბსიდიები 426 321 ლარი;

- \* არფინანსური აქტივები 106 339 ლარი.

### **კულტურის სფეროს**

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 531 277 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 485 622 ლარი მათ შორის:
- \* საქონელი და მომსახურება 39 120 ლარი,
- \* სუბსიდიები 444 502 ლარი
- \* სხვა ხარჯები 2 000 ლარი.

### **რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროს დაზუსტებული გეგმა შეადგენს 20000 ლარს,**

- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 19192 ლარი მათ შორის:
- \* სხვა საქონელი და მომსახურება 19192 ლარი.

### **სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს**

- \* დაზუსტებული გეგმა შეადგენს 136 000 ლარს,
- \* ხოლო ფაქტიური ხარჯი 117 858 ლარი მათ შორის:
- \* არაფინანსური აქტივები 117 858

### **სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება - 41 995 ლარი;**

- \* კულტურის ღონისძიებები - 39 120 ლარი;
- \* ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი - 394 640 ლარი;
- \* ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი - 51 862 ლარი;
- \* ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა - 117 795 ლარი;
- \* საფეხბურთო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები 2015 წელი - 348 321 ლარი (საკასო შესრულება)
- \* სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები - 2015 წელი - 78 000 ლარი (საკასო შესრულება)

2015 წელს სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული იყო 70000 ლარი სპორტული ღონისძიებებისათვის 55 000 ლარი, სულ დაფინანსდა 32 ღონისძიება ახალგაზრდული ღონისძიებების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 15 000 ლარი, სულ დაფინანსდა 12 ღონისძიება.

### **მუნიციპალიტეტში ფინანსდება შემდეგი სპორტული სახეობები:**

- ჭადრაკი,
- კალათბურთი,
- ფეხბურთი,
- კიკბოქსინგი,
- თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა
- მაგიდის ჩოგბურთი.
- ❖ პროგრამის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და სპორტული სახეობების პულარიზაცია.
- ❖ ჩვენმა სპორტსმენებმა არაერთ წარმატებას მიაღწიეს, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონალურ და საერთაშორისო ტურნირებში.
- ❖ მაგალითად: შოთა ფარტენაძემ თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდე ახალგაზრდებს შორის 61 კგ წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა საქართველოს მამუტაბით.
- ❖ მაგიდის ჩოგბურთში ელზა მახაჭაძემ არაერთ წარმატებას მიაღწია. ჩაირიცხა საქართველოს ნაკრებში, დაიკავა საქართველოს პირველობაზე II ადგილი, საქართველოს ნაკრებთან ერთად თურქეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში II ადგილის ფლობელი გახდა და იტალიაში საქართველოს სახელით გამოდიოდა ევროპის პირველობაზე. აგრეთვე საქართველოს პირველობაზე წყვილთა შორის გამართულ შეხვედრაზე ელზა მახაჭაძემ I ადგილი დაიკავა,

ლინდა ჩიკვაიძემ II ადგილი, ანრი დევაძე საქართველოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

- ❖ წარმატებით ასპარეზობენ ქედის სპორტსმენები ჭადრაკში, კალათბურთში, ფეხბურთში და კიკბოქსინგში, სადაც არაერთი საპრიზო ადგილი დაიკავეს.
- აგრეთვე ჩატარდა მხიარულთა და საზრიან გუნდებს შორის შეჯიბრი, რომელშიც ჩართული იყო 78 ახალგაზრდა. ღონისძიების მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების კრეატიული აზროვნების განვითარებას. ახალგაზრდების მონაწილეობით ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილების, ტურისტული მარშრუტების გაცნობა. ღონისძიებაში ჩართული იყო 60 ახალგაზრდა.
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიულ და ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულება.
- მონაწილეობდა 80 ახალგაზრდა.
- პროგრამის მიზანია ახალგაზრდებში ცნობიერების დონის ამაღლება
- ახალგაზრდების მონაწილეობით აღინიშნა ტოლერანტობის საერთაშორისო დღე.
- მონაწილეობდა 40 ახალგაზრდა.
- ამ დღის აღვნიშვნის მიზანს წარმოადგენდა კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის პატივისცემის, დიალოგისა და თანამშრომლობის აუცილებლობის შეხსენება.

**კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამით** განხორციელებულია 24 ღონისძიება, რომელიც ორიენტირებული იყო მუდმივ განვითარებაზე და ითვალისწინებდა სხვადასხვა სტატუსის მქონე პირთა ჩართულობას კონკრეტულ ღონისძიებებში.

**კულტურული ღონისძიებები ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიები როგორცა:**

- 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
- დედაენის დღე
- პროექტი „ცოცხალი წიგნები“
- 3-8 მარტი დედისა და ქალთა დღე (კვირეული)
- მასწავლებელთა საერთაშორისო დღე
- საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები
- სახალხო დღესასწაულები:  
„ფრიდონობა-2015“ „მერისობა-2015“ „შუამთობა-2015“
- საქველმოქმედო კონცერტები, გოგიტა გოგუაძის, ბაჩუკი ბერიძისა და ქეთევან ნაგერვაძის მხარდასაჭერად
- საახალწლო - საშობაო ღონისძიებები ბავშვების ტკბილეულით გამასპინძლება
- ინფო-ტურები ტურისტულ ობიექტებზე
- კულტურული ძეგლების დასუფთავების კამპანია
- ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაში რა? სად? როდის? და ა.შ.
- ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2015-2016;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ჩართულობის მიზნით განხორციელდა შშმ მქონე ბავშვების ექსკურსია ქ. ბათუმში;

ახალგაზრდა თაობაში ქართული ხალხური სიმღერის, ტრადიციული ხელოვნებისა და ცეკვის წარმოჩენა-პოპულარიზაციის მიზნით ორგანიზება გაეწია საჯარო სკოლების თვითშემოქმედებითი ანსამბლების დათვალიერებას. ღონისძიება აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებითა და ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა. ღონისძიება სამ ეტაპად გაიმართა, რომლის ფარგლებში განხორციელდა საჯარო სკოლების თვითშემოქმედებითი

ანსამბლების სატრანსპორტო მომსახურება და ჟიურის წევრების გამასპინძლება. მოზარდთა ქორეოგრაფიული, ბავშვთა და საგუნდო კოლექტივების ოლიმპიადის პირველი შესარჩევი ტური 20 აპრილს, მეორე შესარჩევი ტური 14 მაისს გაიმართა ქედის კულტურის ცენტრში, რომლის ორგანიზებაც უზრუნველყო ქედის კულტურის ცენტრმა და რესურსცენტრმა. დასკვნითი ფინალური ტური კი 27 მაისს ქ. ბათუმის მუსიკალურ ცენტრში ჩატარდა, სადაც პირველი ადგილი ქედის სახელოვნებო სკოლასთან არსებულმა ფოლკლორულმა ჯგუფმა „ჩანგმა“ აიღო. აღნიშნულ ღონისძიებაზე დაიხარჯა 2028,89 ლარი.

26 ივლისს ქ. თბილისში ჩატარდა - ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „არტ-გენი“ რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქედის კულტურის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ელესა“-მ. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა სატრანსპორტო მომსახურება ქედა-თბილისი-ქედა და მონაწილე 17 კაცის კვებით უზრუნველყოფა. მიზანი: ტრადიციული და თანამედროვე კულტურული ფასეულობების პოპულარიზაცია ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ. მიზნობრივი პროგრამით ღონისძიების ფარგლებში დაიხარჯა 1500 ლარი.

შემუშავდა ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკები სადაც დავიტანილ იქნა ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები, ღვინის მარნები, საოჯახო სასტუმროები, კვების, მინერალური წყლებისა და სხვა ობიექტები ჯკს წერტილები. ღონისძიების ფარგლებში შედგენილი და დაბეჭდილი იქნა 4 ელექტრონული (91-70 სმ მასშტაბი 35000) რუკა, ინგლისურ და ქართულ ენოვანი (2000 ცალი) ა2 ფორმატის დასაკეცი ტურისტული რუკა, რომლითაც დამთვალიერებელს შესალებლობა ეძლევა მიიღოს ინფორმაცია ძეგლების მდებარეობის შესახებ და დამოუკიდებლად გადაადგილდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.



ღონისძიების მიზანია ადგილობრივი ღირსშესანიშნავი ადგილების პოპულარიზაცია აღნიშნულ ღონისძიებაზე გამოყოფილი იყო 4500 ლარი.

ასევე გადამოწმდა და გაახლდა კულტურული ძეგლების, საოჯახო სასტუმროების, ღვინის მარნებისა და კვების ობიექტების მონაცემთა ბაზა.

ორგანიზება გაეწია „ოლიმპიური ცეცხლი“-ს მასპინძლობას, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები

**თვითმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა სფეროებში განხორციელებული ღონისძიებები**

### სოფლის-მეურნეობის სფერო

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული განცხადებებიდან 500 ფერმერი მოითხოვდა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის მიზნობრივი პროგრამის „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამების

ფარგლებში თანადაფინანსების პრინციპით შეეძინათ: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა(მოტობლოკი), სასათბურე კონსტრუქცია, მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგი, მობილური შემასხურებელი აპარატები, ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარი, თაფლის საწური აპარატი. სულ დაკმაყოფილდა 390 ფერმერის განცხადება.

- \* სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით (მოტობლოკით), დაკმაყოფილდა 71 ფერმერი.
- \* სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით (მობილური შემასხურებელი აპარატით), დაკმაყოფილდა 8 ფერმერი.
- \* ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარით, დაკმაყოფილდა 7 ფერმერი
- \* რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი აპარატებით დაკმაყოფილდა 48 ფერმერი.
- \* თაფლის საწური აპარატებით, დაკმაყოფილდა 20 ფერმერი.
- \* მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავე დანადგარებით, დაკმაყოფილდა 10 ფერმერი.
- \* სასათბურე კონსტრუქციებით, დაკმაყოფილდა 25 ფერმერი.
- \* მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით (კაკალი, თხილი, მოცვი) დაკმაყოფილდა 201 ფერმერი.

შევიმუშავეთ და მომზადებულია ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტიული გეგმის პროექტი, რომელიც გადაგზავნილია განსახილველად შესაბამის უწყებაში.

საქართველოს სოფლის-მეურნეობის სამინისტროს პროგრამით „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტ“-ს. ქედის მუნიციპალიტეტში გამგებლის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში მოვახდინეთ ბენეფიციართა სიის დაზუსტება. პროექტის ფარგლებში 5112 მოსარგებლემ მიიღეს სუბსიდია. სასოფლო-სამეურნეო ხვნის ბარათი დაურიგდა 3766 ბენეფიციარს ხოლო 1346 ბენეფიციარს „აგრო ბარათზე“ დაერიცხათ ქულების სახით.3453 მოსარგებლის მიწის ფართობი ვერ მუშავდება მექანიზაციით ტექნიკური მიზეზების გამორის გამოც ხვნის ბარათები უკან დააბრუნეს და ჩვენს მიერ იქნა ჩაბარებული სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში, რის საფუძველზე ბარათით გათვალისწინებული სარგებლობის ექვივალენტი ქულების რაოდენობა მათ დაერიცხათ „აგრო ბარათზე“.

### **გენდერული თანასწორობა**

- გენდერული თანასწორობის მხრივ 2015 წელს დაიგემა და განხორციელდა შემდეგი ინიციატივები:
  - გაიმართა საჯარო დისკუსია გენდერულ საკითხებზე „ქალების გაძლიერება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად“ და დაფუძნდა ქალთა კლუბი „დემოკრატიისა და თანასწორობისათვის“.
  - მოეწყო შეხვედრა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის საკითხებზე“, ცნობიერების ამაღლების კამპანია, „გენდერის საათი“, „გენდერის კვირეული“, ვორქშოპ სემინარი „ქალების ჩართულობის გაზრდა“, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ - „ქალების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში“.
  - აღინიშნა არაერთი ღონისძიება - „გოგონათა საერთაშორისო დღე“, რომელიც აქტუალურ პრობლემას - ბავშვთა ქორწინებას მიემდვნა, ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - პრეზენტაცია „ჩვენ პატივს ვცემთ განსხვავებულს!“ „ფორთოხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“ მოეწყო ფილმის „ხმა ამოიღე!“ (speak Out!) ჩვენება.

- ქალთა საზოგადოებაში ინტეგრაციის გაძლიერებისათვის უახლოეს პერიოდში განხორციელდება ახალი მუნიციპალური სერვისი ღია სივრცე საზოგადოებისათვის - „ქალთა ოთახი“ რომლის გენერალური მიზანია ქალთა ცნობიერების დონის ამაღლების აქტიური მხარდამჭერა, ქალებისათვის სასურველი, მათ საჭიროებებზე მორგებული ინფორმაციისა და სერვისების მიწოდება, რაც შემდგომში განაპირობებს მათ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ აქტიურობას.
- გამგეობაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში - სულ 85 თანამშრომელი, მათ შორის 25-მამაკაცი და 22-ქალი ხელმძღვანელ პოზიციაზე ერთი ქალბატონი სამსახურის უფროსი, ხოლო ორი განყოფილების უფროსი, ასევე გვყავს სამი ქალბატონი სოფლის სპეციალისტის პოზიციაზე, ზედამხედველობის სამსახურში წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე უჭირავს ქალბატონს, რაც მნიშველოვანი მიღწევაა - დასაქმების მხრივ შეიცვალა სტერეოტიპული მიდგომები აღარ ხდება გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია.
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლის მონაცემების მიხედვით, რეგიონში სოფლის კრებებზე ქალთა დასწრება ქედის მუნიციპალიტეტში ყველაზე მაღალია და 22.15% -ით ფიქსირდება.

### საჯაროობა

- \* საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით, სისტემა გამართულად მუშაობს და დროულად იგზავნება შესაბამისი პასუხები ადრესატს;
- \* ადგილობრივი მოსახლეობის თანადგომის კუთხით, მუნიციპალიტეტმა არაერთი აქტივობა განახორციელა;
- \* გამგეობის ყველა სტრუქტურული ერთეულის მნიშვნელოვანი ღონისძიებები საჯაროდ განიხილება;
- \* და ბოლოს! ყველა სტრუქტურული ერთეული ღიაა პრესისა და მედიის წარმომადგენლებისთვის;

გამგეობის თანამდებობის პირებს არასოდეს განუცხადებიათ კომენტარზე უარი.